აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის

განკარგულება №8

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
რიგგარეშე სესიის მოწვევის შესახებ

ქალაქი ბათუმი **23 ივლისი, 2020 წელი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 68-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, მოწვეულ იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესია 2020 წლის 24 ივლისის 11 საათიდან.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 24 ივლისის რიგგარეშე სესიაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (09-01-08/96, 09.07.2020);

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი ,,აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის შესახებ“;
II მოსმენა

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე წარმოდგენილი (რამაზ ბოლქვაძე, ირაკლი გვარჯალაძე) კანდიდატურების არჩევის შესახებ;

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე წარმოდგენილი (მარიამი გუგუნავა, სოფიო დიასამიძე) კანდიდატურების არჩევის შესახებ;

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე წარმოდგენილი (ნოდარ მელაძე, დავით ფარტენაძე) კანდიდატურების არჩევის შესახებ.